სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტები, ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიის ნაწილში

შემოთავაზებული მოსაზრებები:

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის გიგა ჩხარტიშვილის მოსაზრება:

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონი ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დამოუკიდებლობის ინსტიტუციურ გარანტიებს, კერძოდ, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-15 ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მაუწყებელი არის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით დაფუძნებული, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. მაუწყებლის პირველი რიგის ამოცანაა კანონის ამ პრინციპების განუხრელი დაცვით მაუწყებლობის უზრუნველყოფა.

კანონმდებლობა აგრეთვე განსაზღვრავს მაუწყებლობის შინაარსობრივი ვალდებულებებისს ნაწილს, რომლების ასახული უნდა იყოს სამაუწყებლო ბადეში, კერძოდ, პროგრამული პრიორროტეტებთან ერთად, მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16-ე მუხლით განსაზღვრული პროგრამების მომზადება და აუდიტორიისთვის მიწოდება და დაიცვას იმავე მუხლით განსაზღვრული სამაუწყებლო პრინციპები:

ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;

ბ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;

გ) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

დ) საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები;

ე) პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;

ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;

ზ) საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქციის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს,

თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;

ი) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;

კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;

ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;

ნ) უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია;

ო) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ;

პ) საგანგებო სიტუაციის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისათვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა.

აღნიშნული შინაარსობრივი ვალდებულებები და სამაუწყებლო პრინციპები არის იმპერატიული საკანონმდებლო ვალდებულება, რომელთა დაცვა და შესრულება უნდა უზრუნველყოს აჭარის ტელევიზიამ და რადიომ მოქმედ პროგრამულ პრიორიტეტებთან ერთად.

სარედაქციო პრინციპები

აუდიტორიის ნდობის მოსაპოვებლად, მაუწყებლობისას, განუხრელად უნდა იყოს დაცული კანონმდებლობაში ასახული და საერთაშორისოდ აღიარებული სარედაქციო პრინციპები, მათ შორის: მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა; სამართლიანობა და პატივისცემა; სიზუსტე და რელევანტურობა; ჰუმანიზმი და ანგარიშვალდებულება; ინტერესთა ჯგუფების გავლენებისგან თავისუფლება;

ობიექტურობა და ბალანსი; გამჭვირვალობა. სარედაქციო მიდგომამ ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას, საზოგადოების კონსოლიდაციას და ერთიანობას.

სამაუწყებლო პრინციპები

სარედაქციო პრინციპებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი სამაუწყებლო პრინციპები: აუდიო-ვიზუალური კონტენტი უნდა მოერგოს ყველა სოციალური და დემოგრაფიული, კულტურული, ეთნიკური , რელიგიური თუ სხვა ჯგუფების ინტერესებს.; უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარედაქციო და შემოქმედებითი დამოუკიდებლობა; სამაუწყებლო ბადე უნდა იყოს მრავალფეროვანი; მაუწყებლობა უნდა იყოს შინაარსობრივად და ვიზუალურად მაღალი ხარისხის; მაქსიმალურად უნდა იყოს ათვისებული ინოვაციური მიდგომები და მეთოდები; მაუწყებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა არსებულ პლატფორმაზე ყველა არსებული ხერხებით; მაუწყებელი უნდა იყოს გამორჩეული მედია მრავალფეროვნებაში და გააძლიეროს საქართველოს მედია სცენა;

თანამედროვე მაუწყებლობის სპეციფიკა იცვლება ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციასთან ერთად, მაყურებელი, მსმენელი და ონლაინ პლატფორმების ვიზიტორები ახდენენ თავიანთი ყურებადობის, მოსმენის და ონლაინ ვიზიტების ჩვევების ადაპტაციას მათთვის მოსახერხებელ პლატფორმებთან. შესაბამისად, მაუწყებელმა გადაცემების და ტელე-უდიო და ვიზუალური პროდუქტის განთავსება უნდა დაგეგმოს მიზნობრივ აუდიტორიასთან უდანაკარგო და მაქსიმალური წვდომის უზრუნვლეყოფის გათვალისწინებით, ასევე აუდიტორიის პლატფორმების შორის მიგრაციის შესაძლებლობები გამოყენებული უნდა იყოს ყველა სოციალურ და დემოგრაფიულ ჯგუფთან კონტენტის დისტრიბუციისთვის. მაუწყებელმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მაუწყებლობის არსებული ინოვაციური და პერსპექტიული ტექნოლოგიები და იყოს თანამედროვე აუდიოვიზუალური ხერხებით გადაცემების და კონტენტის მიწოდების ავანგარდში.

სამაუწყებლო პრიორიტეტების შესრულების პროცესში, მაუწყებელმა უნდა გამოიკვლიოს საზოგადოების აზრი, საზოგადოების დამოკიდებულებები და განწყობები პრიორიტეტებში ასახული საკითხების მიმართ და მუდმივად უნდა ჰქონდეს უკუკავშირი აუდიტორიის სამიზნე ჯგუფებთან რათა ხდებოდეს სამაუწყებლო კონტენტის კორექტირება მიზნობრივი შედეგის მისაღწევად. საზოგადოებრივი აზრის კვლევები უნდა ტარდებოდეს დარგში არსებული და აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის და მეცნიერული მიდგომების გათვალისწინებით. მაუწყებელმა უნდა შეძლოს იმ პარამეტრების განსაზღვრა, რომლებიც საზოგადოებრივი განწყობების და სხვადასხვა სამიზნე საკითხებისადმი დამოკიდებულებების ცვლილების აღმოსაჩენად იქნება გამოყენებული. პრიორიტეტების შესრულების მთელს ეტაპზე, მაუწყებელმა უნდა მოახერხოს სოციოლოგიური, მარკეტინგული და სხვა ხერხებით, აუდიტორიასთან მუდმივი კომუნიკაცია და პერმანენტულად უნდა ღებულობდეს და აანალიზებდეს უკუკავშირის შედეგებს.

პროგრამული პრიორიტეტებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, ასევე საზოგადოების გრძელვადიანი და მოკლევადიანი ამოცანების გადასაჭრელად მაუწყებლემა უნდა აწარმოოს პროაქტიური სოციალური რეკლამების კამპანია, რომლებშიც ასახული იქნება პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული მისაღწევი პარამეტრები, ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებისთვის აუცილებელ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას და საზოგადოების განწყობების და ქცევის პოზიტიურად შეცვლას ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოების ოპერატიული-მოკლევადიანი და სტრატეგიული-გრძელვადიანი საჭიროებებზე აქცენტირება და პრობლემების დაძლევაში ხელშეწყობა. პროაქტიური სოციალური რეკლამები გამოყენებული უნდა იყოს როგორც დროის კონკრეტულ მონაკვეთში შექმნილი საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებლობის შინაარსობრივი მიზნების მიღწევის გრძელვადიან პერსპექტივაში. პროგრამათაშორისი კონტენტი უნდა იყოს მულტიპლატფორმული და მისი წვდომა აუდიტორიაზე უნდა იყოს მიზნობრივი.

ადამიანის უფლებები

მაუწყებელმა, ყველა არსებულ პლატფორმაზე ყველაზე მთავარი აქცენტი უნდა გააკეთოს ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვაზე, ადვოკატირება და პოპულარიზაცია გაუწიოს მოქალაქეთა უფლებების განუხრელ დაცვას, ყველა შესაძლებლობით გამოავლინოს უფლებების დარღვევის ფაქტები ან დარღვევის პოტენციური საფრთხეები, გამოიტანოს ეს საკითხების საზოგადოების სამსჯავროზე და გაზარდოს ხელისუფლების ანგარიშვალდებულება მსგავს საკითხებზე და ხელი შეუწყოს რეაგირების მექანიზმების ამოქმედებას. ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შესახებ პროგრამული კონტენტი, უპირატესი სამაუწყებლო პრიორიტეტით უნდა სარგებლობდეს. მაუწყებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ადამიანის ყველა უფლების დაცვის აუცილებლობაზე, იზრუნოს საზოგადოებაში აღნიშნულ საკითხებზე მაღალი ინტერესის შენარჩუნებაზე. ყველა უფლების დარღვევის ფაქტი უნდა მოექცეს მაუწყებლის მთავარ სამაუწყებლო ფოკუსში. მაუწყებელმა უნდა აწარმოოს ადამიანის უფლებების დაცვის, სოლიდარობის და ტოლერანტობის საზოგადოებრივი მედიაკამპანია და ამით ხელი შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას, საზოგადოების ცალკეული ჯგუფების ინტეგრაციას საზოგადოებაში და მაღალი სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებას. მაუწყებელი მუდმივად უნდა ეწეოდეს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების კუთხით საგანმანათლებლო კამპანიას. ასეთი კონტენტი მიმართული უნდა იყოს უნივერსალურად- მაუწყებლის მთელს აუდიტორიაზე.

საზოგადოებრივ პოლიტიკური მიმართულება

მაუწყებელმა დიდი დრო და რესურსები უნდა დაუთმოს პოლიტიკური დებატების გამართვას, ეთერში ასახოს მოსაზრებათა მრავალფეროვნება და უზრუნველყოს, რომ ყველაზე მცირე ჯგუფის ინეტერესები და სათქმელი მიწოდებული იყოს საზოგადოებისთვის. თემატური და კარგად ორგანიზებული დებატების მიმართულებით, მაუწყებელმა უნდა უზრუნვლყოს საზოგადოებრივი საკითხების აკადემიურ ფორმატში განხილვა, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განმუხტვას და შეამციროს ნებისმიერი პოტენციური პოლიტიკური ძალადობის რისკები. მაუწყებლის სადებატო პლატფორმებით ხელი უნდა შეეწყოს საზოგადოების კონსოლიდაციას აღიარებული სახელმწიფოებრივი და ჰუმანიზმის პრინციპების ირგვლივ. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საერთო სახელმწიოებრივი საკითხების ირგვლივ სხვადასხვა საზოგადოებრვი ჯგუფების

გაერთიანება ყველა ჯგუფის ინტერესების წარმოჩენით და მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის გზით. მაუწყებლის ყველა პლატფორმა ღია უნდა იყოს საზოგადოებისთვის აქტუალური ყველა თემისთვის და ამ თემებზე არსებითი ხასიათის დებატებისთვის. საინფორმაციო ანალიტიკურმა მიმართულებამ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა თემის წარმოჩენა. აუდიტორიისთვის შეთავაზებული უნდა იყოს გამოსავლის გზები ცალკეული პრობლემების დაძლევაში (Solution Journalism). საზოგადოებაში არსებული ყველა პოლიტიკური, სოციალური, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო, კულტურული, უმცირესობების და სხვა საკითხების სათანადო დონით და პროფესიული სიღრმით უნდა იყოს წარმოჩენილი სხვადასხვა პლატფორმაზე. ყველა საკითხის აქტუალიზაციისას მთავარ ამოცანად, საკითხის მოგვარების გზები უნდა დაისახოს. ყურადღება უნდა გამახვილდეს ადგილობრივი თვითმმართველობების და ხელისუფლების ანგარიშვალდებულებაზე საზოგადოების ცალკეული წევრების, სხვადასხვა ჯგუფების თუ მთელი საზოგადოების წინაში მდგარი საკითხების გადაწყვეტაში. მაუწყებელმა აქცენტი უნდა გააკეთოს პრობლემების მოგვარების გზებზე და ყველა სამოქალაქო აქტორთან კოოპერაციით, პრობლემების მოგვარების გზით, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში დაძაბულობის განმუხტვას. საინფორმაციო, ასევე საზოგადოებრივ პოლიტკური მიმართულების გადაცემებმა, უნდა ასახონ პერსპექტიული შესაძლებლობები და საფრთხეები, ამავე დროს ხელი შეუწყონ შესაძლებლობების კონვერტაციას საზოგადოებრივ სიკეთეებში და საფრთხეების განეიტრალებას და მათზე ადრეული რეაგირების აუცილებლობის წარმოჩენას. საზოგადოებრივ პოლიტიკურ და საინფორმაციო გადაცემებში წარმოჩენილი უნდა იყოს ყველა თემატიკა სათანადო სიღრმით. გადაცემები ხშირად უნდა მიუბრუნდნენ უკვე წარმოჩენილი, სადისკუსიოდ გამოტანილი მაგრამ მოუგვარებელი პრობლემების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებამდე და ადრესატამდე მიატანას.

ჟურნალისტური გამოძიება

საგამოძიებო მედიაპროდუქტის წარმოება მაუწყებლის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობაა. მაუწყებელმა, შეძლებისდაგვარად ყველა პლატფორმაზე უნდა შექმნას მაღალი ხარისხის საგამოძიებო კონტენტი. ჟურნალისტურმა გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს, საზოგადოებისთვის საინტერესო, აქტუალური და საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის საფრთხის შემცველი, დამალული ფაქტების გამოვლენა, მათ შესახებ ანალიტიკური და აკადემიური შეფასებების გაკეთება და საზოგადოებისთვის სათანადო , გასაგებ ენაზე მიწოდება.

საგამოძიებო ჟურნალისტიკამ ხელი უნდა შეუშალოს გამოძიებით დადგენილი ფაქტების გამეორებას, ასევე , ყველა სამოქალაქო აქტორს - მოქალაქეებს, სხვადასხვა ინეტერესთა და ძალაუფლების ჯგუფებს, უნდა გაუჩინოს განცდა , ყველა პოტენციური დანაშაულის გამოვლენის და საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანის შესახებ. საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულებამ უნდა უზრუნველყოს დანაშაულის, უპასუხიმსგებლობის და სამოქალაქო გულგრილობის პრევენცია. აღნიშნულმა მიმართულებამ, ასევე უნდა გამოავლინოს თემები და გააკეთოს მიგნებები, რომლებიც შესაძლოა არც დანაშაულს შეიცავდეს, არც სახელმწიფო ინსტიტუტების გულგრილობის და უპასუხიმსგებლობის შედეგია, თუმცა შესაძლოა მომავალში იქცეს გამოწვევად, რომლის მოგვარება, მისი პრევენციისას არ შეუქმნიდა საფრთხეს არც ცალკეულ ინდივიდებს, ორგანიზაციებს ან სახელმწიფოს. გამოძიების მიმართულებამ წელიწადში რამდენჯერმე, უნდა წარმოაჩინოს საერთო ეროვნული რეზონანსის მქონდე თემების გამოძიება.

ფეიკ ნიუსის გამოვლენა

თანამედროვე მსოფლიოში, ინფორმაციის გაცვლის ტექნოლიგიების განვითარების და გლობალური საკომინიკაციო სოციალური ქსელების განვითარებამ, შესაძლებლობებთან ერთად გააჩინა ცრუ ინფორმაციის გავრცელების და საზოგადოებაზე ნეგატიური და დამაზიანებელი გავლენის მოხდენის საფრხთეები, რომელთა წინაშე , ხშირ შემთხევაში, ყველაზე უფრო განვითარებული საზოგადოებებიც დაუცველები აღმოჩნდნენ. საქართველო, თავისი მცირე პოლიტიკური, ეკნომიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სრულიად ღია და დაუცველია ფეიკ ნიუსის ნეგატიური გავლენებისგან. პრინციპულად მნიშვნელოვანია, ფეიკ ნიუსის საფრთხეების ნეიტრალიზების საქმეში, საზოგადოებრივი მაუწყებელი იყოს ავანგარდში და საზოგადოებისთვის იქცეს ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მთავარ წყაროდ. მაუწყებელმა უნდა უზუნველყოს, საზოგადოებაში გავრცელების დაწყებით სტადიაზე მყოფი ან უკვე გავრცელებული ფეიკ ნიუსების გამოვლენა, მათი წყაროს, მიზნობრიობის და სამიზნე ჯგუფის დადგენა, და საზოგადოების ინფორმირება არა მხოლოდ ფეიკ ნიუსის არსზე, არამედ მის პირველწყაროს და გამავრცელებლის რეალური მიზნების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფეიკ ნიუსებზე აქცენტის გაკეთება არჩევნების, პოლიტიკური ან სოციალური მოვლენების და სხვადასხვა საზოგადოებრივი დაძაბულობის პერიოდში, რადგანაც ასეთი ტიპის საინფრომაციო კამპანიები, ხშირად მტრულად განწყობილი პოლიტიკური ცენტრების და ქვეყნების ინტერესებს

ემსახურება. მაუწყებელმა ფეიკ ნიუსების საფრთხის შესახებ უნდა აწარმოოს საინფორმაციო კამპანია, მოახდინოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ფეიკ ნიუსის კამპანიების არსებობის და მათი გავლენის შემცირების შესახებ, ასევე ძალიან აქტიურად და ოპერატიულად, გამოავლინოს ყველა ფეიკ ნოუსი და აცნობოს ამის შესახებ საზოგადოებას. ფეიკ ნიუსების სააფრხეების შემცირების მედია კამპანიას, თან უნდა ახლდეს შესაბამისი ანალიტიკური დასკვნები, მათი გენეზისის და ბუნების, ასევე საზოგადოებაზე ნეგატიური გავლენის პრევენციური ღონისძიებების შესახებ. ფეიკ ნიუსის გამოვლენის კამპანიებში, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს, რექციული და ექტრემისტული ჯგუფების, საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფების მიმართ სიძულვილის გამომხატველი, ანტიდასავლური რიტორიკის, ძალადობისკენ მომწოდებელი, ეთნიკური და რელიგიურ შუღლის გამღვივებელი და სხვა საზოგადოებრივი საფრთხის შემცველ ნიუსებზე. მაუწყებელმა არ უნდა დაუშვას, რომ ფეიკ ნიუსის გავრცელებამ და მისმა შედეგებმა დაასწროს პრევენციულ საინფრომაციო მედია ღონისძიებებს.

საარჩევნო საკითხები

არჩევნების პერიოდში, მაუწყებელმა , ყველა პოლიტიკური ძალას და მოქალაქეთა გაერთიანებას უნდა შესთავაზოს საკუთარი ხედვების გადმოცემის და საარჩევნო პროგრამების სადისკუსიო პლატფორმა. მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს კონკურენტული და თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას, ასევე შეძლოს არჩევენების სამოქალაქო კულტურის ფორმირების ხელშეწყობა, საარჩევნო სისტემებზე აკადემიური მსჯელობის მოწყობა და საარჩევნო საკითხების პოპულარიაზაცია საზოგადოებაში. მაუწყებლის ეთერი და სხვადასხვა პლათფორმა, სათანადო დროით უნდა დაეთმოს წინასაარჩევნო პროგრამების განხილვას, ამ განხილვაში საზოგადოების ჩართულობას და პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას. მსოფლიოში საარჩევნო პოპულიზმმა შექმნა უმარავი საფრთხე და საზოგადოებრივი დაძაბულობის კერები, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არსებითი ყურადღება მიექცეს წინასაარჩევნოდ პოპულისტური და ექტრემისტული მიმართულებების გამოვლენას და მათ შესახებ საზოგადოებრივი და სამეცნიერო დისკუსიების გამართვას, რათა მინიმუმამდე იქნას შემცირებული ამ პროცესით გამოწვეული ზიანი. მაუწყებლმა ასევე უნდა შეძლოს, წინასაარჩევნო მანიპულაციების და უსამართლოდ და უკანონოდ გამოყენებული, სხვადასხვა საარჩევნო ხერხების გამოვლენა და მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირება. მნიშვნელოვანია

მაუწყებელმა შექმნას, არჩევნებით მანიპულაციების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის გარემო.

ინტერესთა ჯგუფების ანგარიშვალდებულება და კონტროლი

მაუწყებელმა, სხვადასხვა გადაცემაში, ყურადღება უნდა დაუთმოს საძალაუფლებო, ფინანსური, რელიგიური და სხვა ჯგუფების საზოგადოებისგან დაფარული ინტერესების გამოვლენას და მათ შესახებ მსჯელობას. მნიშვნელოვანია, რომ ცალკელული ჯგუფების ინტრესების ნეგატიური გავლენა საზოგადოებაზე მაქსიმალურად იყოს წარმოჩენილი და მაუწყებლის პორგრამული კონტნეტის ხელშეწყობით გაიზარდოს ასეთი ჯგუფების ანგარიშვალდებულების ხარისხი საზოგადოების წინაშე. არცერთ ცალკე გავლენიან ინტერესთა ჯგუფს, არ უნდა მიეცეს საშუალება, გავლენა მოახდინონს საზოგადოებაზე საზოგადოებისვე ინტერესების საწინააღმდეგოდ. ასეთი თიპის ინტერსები, სათანადო ანალიტიკით და ოპერატიულობით უნდა იყოს წარმოჩენილი და განხილული შესაბამის გადაცემებში. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა დაცულობა ყველა მომეტებული გავლენის მქონე სახელისუფლებო და კომერციული ჯგუფებისგან, გადაცემებში მუდმივად უნდა იყოს აქცენტი გაკეთებული ასეთ ინტერსებზე და მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნვლეყოფილი ასეთი ინტერესების გამჭვიროვალობის სტანდარტი მაუწყებლის პლატფორმების მეშვეობით.

ევროატლანტიკური ინტეგრაცია

ევროპული და ჩრდილატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორის ერთადერთი მიმართულებება და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მთავარი წინაპირობაა. გაცხადებული კურსი საზოგადოების დიდი უმრავლესობის არჩევანია, ამდენად მაუწყებლის საკანონმდებლო და პროგრამული პრიოროიტეტებით განსაზღვრული ვალდებულებაა. მაუწყებელმა უნდა შეძლოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სიკეთეების სათანადოდ წარმოჩენა და საზოგადოებისთვის მიწოდება, ხელი შეუწყოს ამ მიმართულებით საზოგადოების მაქსიმალურ ინფორმირებულობას და ჩართულობას. სხვადასხვა პლატფორმებზე და

პროგრამებში, მნიშვნელოვანი დრო დაუთმოს აღნიშნულ საკითხებზე დისკუსიებს და ამ დისკუსიებში წარმოაჩინოს მოსაზრებათა მრავალფეროვნება, უზრუნველყოს საექსპერტო მსჯელობები და დისკუსიებში მაქსიმალურად ჩართოს დარგში არსებული ექსპერტები პარტნიორი ქვეყნებიდან. მაუწყებელმა მნიშვნელოვანი მედია კამპანია უნდა გაწიოს, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი საზოგადოების შიშების გამოვლენის და დაძლევის კუთხით და ამ საზოგადოებრვი ჯგუფებში არსებული, ევროკავშირის და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის შესახებ მითების ნეიტრალიზაციაში. გამოავლინოს ყველა ჯგუფში არსებული წინააღმდეგობები, წარმოაჩინოს მათი მოსაზრებები და მიაწოდოს მათ უტყუარი ფაქტები, რომელთა ანალიზითაც შესაძლებელი იქნება ამ მიმართულებით არსებული ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევა. მაუწყებელმა , საინფორმაციო და დისკუსიების კამპანიით, ხელი უნდა შეუწყოს, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომხრეთა ზრდას. ამ მიმართულებით გაწეული ნებისმიერი კამპანია ან დებატი, უნდა გამოირჩეოდეს სათანადოდ მაღალი პროფესიულობით და ექსპერტების ჩართულობით. პროგრამებში გაანალიზებული უნდა იყოს ევროკავშირში და ნატოში მიმდინარე პროცესები, ასევე სათანადოდ დოზით უნდა იყოს წარმოჩენილი სიახლეები.

სამხედრო მიმართულება

ქართულ მედია სივრცეში, აჭარის ტელევიზია და რადიო, გამოირჩევა თავისი სამხედრო მიმართულების გადაცემით. მნიშვნელოვანია, სხვადასხვა სამაუწყებლო პლატფორმებზე სათანადრო ყურადღება დაეთმოს სამხედრო თემატიკის პოპულარიზაციას, გაძლიერდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ საზოგადოების პოზიტიური განწყობების ხელშემწყობი მედია კამპანიები და ხელი შეეწყოს პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას. სამხედრო მიმართულების გადაცემებმა, უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო თავდაცვის საკითხების წარმოჩენა და სამოქალაქო თავდაცვის კულტურის ზრდა საზოგადოებაში. ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით მოქალაქეთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაზე და სათანადო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. წარმოჩენილი უნდა იყოს სამხედრო გმირობის მაგალითები და გადმოცემული ის ფაქტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა და სამხედრო მოსამსახურეთა საბრძოლო სულისკვეთების ზრდას. სამხედრო მიმართულების გადაცემებმა უნდა გამართოს სამხედრო და უსაფრთხოების საკითხებზე დისკუსიები და საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე გადმოსცეს საქართველოს გეოპოლიტიკური

გარემო, მისი საფრთხეები და შესაძლებლობები, ხელი შეუწყოს საზოგადოების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას ყველა სამხედრო პოლიტიკურ და უსაფრთხოების მიმართულების გამოწვევაზე. პროგრამებში სათანადო დოზით უნდა აისახოს საქართველოს სამხედრო ისტორია.

ჯანდაცვა

მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის ფონზე, ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა ჯანდაცვაზე აქცენტის გაკეთება. ვითარებამ აჩვენა, რომ არა მხოლოდ თავად ჯანდაცვის სამეცნიერო საკითხები, არამედ მოქალაქეებში არსებული ჯანდაცვის კულტურა ადამიანების სიცოცხლის გაფრთხილების მთავარი საშუალებაა. მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ჯანდაცვის საკითხებს და მაქსიმალურად ყველა რესურსით უზრუნველეყოს ამ საკითხების მულტიპლატფორმული დისტრიბუცია და ყველა სოციალურ და დემოგრაფიულ ჯგუფთან ეფექტიანად მიტანა. ჯანდაცვის მიმართულების გადაცემებში , სათანადო წესით, ვიზუალიზაციის, გამომხატველობის და აუდიალური წვდომის თანამედროვე, ეფექტიანი ხერხებით უნდა წარმოჩინდეს ყველა საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჯანმრთელობის უზრუნველეყოფას, ჯანმრთელობისადმი პოტენციური საფრთხეების გამოვლენას და მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ელემენტარული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; ჯანდაცვის საკითხების მიმართ სამოქალაქო თვითორგანიზების უნარების პოპულარიზაცია და დამკვიდრება. პანდემიების და ჯანმრთელობის საფრთხეების საკითხებზე ეფექტური რეგირება და საზოგადოების რეაგირების უნარების ჩამოყალიბება. ჯანდაცვის მიმართულების გადაცემებმა, სათანადო ყურადღება უნდა დაუთმონ ჯანსაღ კვებას და სასურსათი უსაფრთხოების საკითხებს, ამ კუთხით საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს და მათი მოგვარების გზების წარმოჩენას. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს, სამუშაო გარემოს უსაფრთხოების, და ჯანმდრთელობისთვის საშიში გარემოს შესახებ საკითხების გამოვლენაზე და წარმოჩენაზე.

სოფლის მეურნეობა

მსოფლიოში, ჯანდაცვის კუთხით შექმნილმა ვითარებამ ცხადად აჩვენა, რომ ეკონომიკის თითქმის ყველა დარგის კოლაფისის პერიოდში, სოფლის მეურნეობამ ეროვნული უსაფრთხოების დონეზე გადაინაცვლა, შესაბამისად მაუწყებელმა, მნიშვნელოვანი საეთერო დრო უნდა დაუთმოს სოფლის მეურნეობის შესახებ გადაცემებს და თემატურ მიმართულებებს. საქართველო, როგორც ტრადიციული აგრარული ქვეყანა, გამოირჩევა სოფლის მეურნეობის დარგების მრავალფეროვნებით. მაუწყებელმა, ხელი უნდა შეუწყოს, საქართველოში, განსაკუთრებით კი აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას, ამ სფეროს პოპულარიზაციას და ახალგაზრდა ფერმერების ჩამოყალიბებას. გადაცემებში უნდა წარმოჩნდეს სოფლის მეურნეობაში და ქართულ შინამეურნეობებში თუ ფერმერულ მეურნეობებში არსებული პრობლემები. სათანადო კუთხით უნდა მიექცეს ყურადღება ყველა რეფორმას რომელიც აგრარულ სექტორში ტარდება და კრიტიკულად უნდა გაანალიზდეს ის შედეგები, რომლებიც თან მოყვება აღნიშნულ რეფორმებს. დისკუსია უნდა გაიმართოს დარგის ექპერტებთან და ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის ეროვნული და რეგიონული კუთხით განვითარების მიმართულებების ჩამოყალიბებას. სოფლის მეურნეობა უნდა გაანალიზდეს, როგორც კრიზისული პერიოდის სტრატეგიული დარგი და ეროვნული უსაფრთხოების ნაწილი. ხელი უნდა შეეწყოს, სოფლის მეურნების თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომების დანერგვას და ფერმერული კულტურის ჩამოყალიბებას. ახალგაზრდა თაობაში პოპულარიზაცია უნდა გაეწიოს აღნიშულ დარგს და წარმოჩენილი იყოს წარმატებული სასოფლო სამეურნეო პროექტები. მაუწყებელმა გადაცემებში უნდა ასახოს, საექპერტო და საზოგადოებრივი მოსაზრებები საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტული უპირატესობის შესახებ სხვადასხვა აგრარული მიმართულებით, როგორც მსოფლიო ისე ევროპული ბაზრის კონტექსტში.

მცირე და საშუალო მეწარმეობა / ტურიზმი

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი წილი ტურიზმის ინდუსტრიას უჭირავს, მნიშვნელოვანია მაუწყებელმა ხელი შეუწყოს საქართველოს ტურისტული სექტორის პოპულარიზაციას, შიდა ტურიზმის გააქტიურებას და ტრადიციული სტუმარ-მასპინძლობის კულტურის წარმოჩენას ტურისტულ სექტორში. აჭარის რეგიონისთვის ტურიზმი ერთ-ერთი წამყვანი დარგია, გლობალური პანდემიიდან გამომდინარე, ტურისტულ სექტორს მიადგა ყველაზე დიდი ზიანი. მაუწყებელმა, უნდა იზრუნოს ტურიზმის სექტორის შესახებ ფართო ფორმატის მსჯელობების გამართვზე და ხელი შეუწყოს ტურიზმის ინდუსტრიას არსებული პრობლემების გადაჭრაში. ასევე, სათანადო მედია კონტენტით პოპულარიზაცია გაუწიოს რეგიონის და ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს, გამოავლინოს დარგში არსებული შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს დარგში დასაქმებული მოქალაქეების დასაქმების საკითხებზე ყურადღების გამახვილებას. ტურიზმის ინდუსტრიაში არსებულ ორგანიზაციებს და გაერთიანებებს, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოთ თავიანთი პრობლემების წარმოსაჩენად და ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე დისკუსიისთვის. გადაცემებში განხილული უნდა იყოს რეგიონის და ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობები და საზოგადოების ჩართულობით, სათანადოდ უნდა წარმოჩნდეს ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკის მოსაზრებათა მრავალფეროვნება.

საქართველოსთვის და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისთვის, მნიშნელოვანია საზელმწიფოსგან დამოუკიდებელი, დაცული მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარება. აჭარის ტელევიზიამ და რადიომ, სათანადოდ წესით და დოზით უნდა წარმოაჩინოს მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები, ეთერში იმსჯელოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ გარემოებებზე და საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების და სპეციალიზირებული ჯგუფების ჩართულობით, ხელი შეუწყოს მეწარმეობის კულტურის, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის წყაროს, განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესის, განსხვავებით მსხვილი ბიზნესისგან, არის ბიზნესის ის სეგმენტი, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს საკუთარი უფლებების დაცვა და პრობლემების სათანადო წესით მიტანა სახელისუფლებო წრეებამდე, შესაბამისად, მაუწყებელმა, შესაბამისი პროპორციით უნდა მოახდინოს მცირე და საშუალო ბიზნესის ადვოკატირება და ხელი შეუწყოს სახელისუფლებო ჯგუფებთან მათი პრობლემების მიტანას.

მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის დამკვიდრებას. ბიზნესის სიციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტი ხელს უწყობს საზოგადოების პრობლემების ადვილად მოგვარებას და უსაფრთხო ცხოვრების გარემოს ჩამოყალიბებას, შესაბამისად, სამაუწყებლო სივრცე გახსნილი უნდა იყოს ასეთი მიმართულების მსჯელობისთვის და საზოგადოების ჩართულობით, ტელევიზიამ და რადიომ, ონლაინ მედიასთან ერთად უნდა წარმოაჩინოს ასეთი შესაძლებლობები და ხელი შეუწყონ მათ პოპულარიზაციას.

განათლება

განათლება და განათლებული საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის საფუძველია. მაუწყებლის ეთერში, მუდმივად უნდა ხდებოდეს განათლების თემების წარმოჩენა, ყურადღება უნდა გაგამახვილდეს, როგორც ბაღის აღმზრდელობით, ისე სასკოლო , პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხებზე. მაუწყებლმა დიდი დოზით უნდა წარმოაჩინოს დაწყებითი და სასკოლო განათლების პრობლემები, იმსჯელოს უცხოურ საუკეთესო საგანმანათლებლო პრაქტიკაზე და ამ პრატქიკის საქართველოს კულტურული სპეციფიკაციის გათვალისწინებით იმპლემენტაციაზე. სათანადრო დრო დაუთმოს დებატებს განათლების საკითხებთან დაკავშირებით, გამოავლინოს განათლების მიმართულებები , რომლებიც ხელს უწყობენ, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის ჩამოყალიბებას, წარმოაჩინოს სათანადო დოზით მათი აუცილებლობა და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში აღნიშნული საკითხების მიმართ მგრძნობელობის ინტენსიფიკაციას. მაუწყებელმა ფართოდ უნდა წარმოაჩინოს განათლების მიმართულებაში მოსაზრებათა მრავალფეროვნება და ექსპერტულ წრეებში დისკუსიის მოწყობით ხელი შეუწყოს მნიშვნელოვანი განათლების კომპონენტების სახელმწიფო პოლიტიკაში ასახვას. განათლების საკითხების მიმართულებით, მაუწყებელმა უნდა დაამზადოს მულტიპლატფორმული მედიაკონტენტი და განათავსოს ის საუკეთესო დროს.

კულტურა და რელიგია

აჭარის რეგიონი, ისევე როგორც სრულიად საქართველო , გამოირჩევა რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებით. მაუწყებელმა, საეთერო დრო უნდა დაუთმოს რეგიონის კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენას, ტრადიციების,

ფოლკლორის, ხელოვნების, ხუროთმოძღვრების, ლიტერატურის , ფერწერის, თეატრის, კინოს და სხვა კულტურული მიმართულებების წარმოჩენას. მაუწყებლის სხვადასხვა პლატფორმაზე ასევე უნდა წარმოჩნდეს რეგიონის და ქვეყნის სხვადასხვა, მათ შორის ძალიან მცირე, რელიგიური კონფესიები, საეთერო დრო დაეთმოს მათი ცხოვრების წესის, ტრადიციების და ადათ -ჩვევების წამოჩენას, მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს კონფესიებს შორის დიალოგს და მათი მშვიდობიანად, ერთ საზოგადოებაში თანაარსებობის პოპულარიზაციას. მაუწყებელმა გადაცემებში უნდა ასახოს რეგიონის ეთნიკური მრავალფეროვნება, ხელი შეუწყოს ყველა განსხვავებული ადამიანის მიმართ ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას. ტელევიზიისა და რადიოს ეთერი უნდა დაეთმოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და საგანძურის წარმოჩენას, პოპულარიზაციას და დაცვას. მაუწყებლის ფონდი უნდა დაეთმოს ასეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და კონსერვაციას.

სათანადო დოზით უნდა იყოს წარმოჩენილი სუბკულტურის მიმართულება, ხაზი უნდა გაესვას მათი საზოგადოებისგან განუყოფლობის იდეას და წარმოჩენილი უნდა იქნას შესაძლო სტიგმატიზაციის საფრთხეები.

დოკუმენტური კინო

დოკუმენტალისტიკა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ტრადიციულად ძლიერი მხარეა. მაუწყებელმა სათანადრო რესურსები უნდა დაუთმოს დოკუმენტური კონტენტის წარმოებას და მის ტრანსლირებას და ადაპტაციას სხვადასხვა პლატფორმებზე. დოკუმენტალისტიკის მიმართულებამ ხელი უნდა შეუწყოს ისტორიის და აწმყოს შესახებ ფაქტების შეგროვებას და შემდგომი თაობებისთვის შენახვას. ტელევზიამ და რადიომ უნდა უზრუნვლეყოს დოკუმენტური მიმართულების გადაცემების მრავალფეროვნება.

ახალგაზრდობა და სპორტი

სპორტი და ახალგაზრდული საკითხები საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია. მაუწყებელმა პროგრამულ თემატიკებში, ასევე ცალკეული პროგრამების საშუალებით უნდა ასახოს რეგიონის და ქვეყნის სპორტული საკითხები, სპორტსმენების წარმატებები და მიღწევები. ეთერეში ასახული უნდა

იყოს სპორტული ინფრაქტრუტურის , სპორტული კლუბების და დარგების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, წარმოჩენილი უნდა იქნას დარგში არსებული პრობლემები და ეთერი დაეთმოს მათი მოგვარების გზებზე საზოგადოებრივ დისკუსიას. მაუწყებელმა მაღალი ხარისხით უნდა გადასცეს სპორტული ღონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთი ღონისძიებების ტრანსლირებას, რომელიც იმართება რეგიონში ან რომელშიც მონაწილეობს რეგიონის წარმომადგენელი სპორტსმენი. გადაცემებში უნდა წარმოჩნდნენ სპორტსმენები და საზოგადოებისთვის მოთხრობილი იყოს ისტორიები მათ მიღწევებზე. მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ახალგარზდებში სპორტისადმი ინტერესის გაღვიძებას და გაძლიერებას, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას.

თანამედროვე ტელევიზიები აუდიტორიის დანაკლისს სწორედ ახალგარდულ დემოგრაფიულ ჯგუფში განიცდიან. მაუწყებელმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გაიღოს ახალგარზდული და ახალგარზდებისთვის საინტერესო საკითხებზე მსჯელობას და გადაცემების მომზადებას. მედია კონტენტი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს ახალგარზდების ტელეყურებადობის , რადიოს მოსმენის თუ ონლაინ ვიზტიების ქცევას. ახალგარზდული საკითხები უნდა მომზადდეს აღნიშნულ აუდიტორიის ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული ხერხებით. მედია კონტენტი უნდა დაეთმოს ახალგაზრდულ დისკუსიებს სხვადასხვა თემებზე.

ტექნოლოგიები

ტექნოლოგიების და ინოვაციების განვითარებამ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ჭრილში საზოგადოებების წინაში განსხვავებული მოთხოვნები დააყენა. ყველა ეპოქაში ტექნოლოგიური უპირეატეოსბის მქონე საზოგადოებები გაცილებით მარტივად უმკლვადებოდნენ გამოწვევებს. დღეს ტექნოლოგიური დომინირება ხშირ შემთვევაში საზოგადოების კონკურენტუნარიანობის მთავარი წინაპირობაა. მაუწყებელმა მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს ტექნოლოგიების და ინოვაციების პოპულარიზაციას, მათი ინსტრუმენტულად სარგებლიანობის წარმოჩენას. სხვადასხვა პლატფრომებზე უნდა განთავსდეს ციფრული განათლების და ცნობიერების ხელშემწყობი კონტენტი, პოპულარიზაცია უნდა გაეწიოს ტექნოლოგიურ დარგების განათლების და ამ დარგების მაქსმილაურად განვითარების აუცილებლობას. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ინოვაციები არა მხოლოდ ამარტივებს ცხოვრებას, არამედ უფრო

უსაფრთხოს ხდის გარემოს. გადაცემებმა ხელი უნდა შეუწყოს ამ დარგების, როგორც ეროვნული ეკონომიკის და საზოგადოების უპირატესობების განმაპირობებელ სფეორებზე საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

ტერიტორიული კონფლიქტები

მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ტეირტორიული კონფლიქტების საკითხების გაშუწებას. ეთერში უნდა იყოს წარმოჩენილი მოსაზრებათა მრავალფეროვნება კონფლიქტების მოგვარების და მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ. მაუწყებლის ეთერი უნდა დაეთმოს სამშვიდოპო პროცესის შესახებ დისკუსიას და მშვიდობიანი პროცესის უალტერნატივობის წამოჩენას. ტელევიზიისა და რადიოს ეთერი, ასევე ვებ პლატფორმა მაქსიმლაური დოზით უნდა დაეთმოს ამ მიმართულებით საექსპერტო მოსაზრებების წარმოჩენას და მრგვალი მაგიდების გამართვას. შესაძლებლობისთანავე , ეთერში წარმოჩენილი უნდა იყოს ოკუპირებულ ტერიოტორბზე მცხოვრები მოქალაქეები და მათი პრობლემები. ყურადღება უნდა გამახვილდეს შერიგების საერთაშორის სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებაზე და ასეთი პრაქტიკის არსებობაზე. მაქსიმალურად უნდა იყოს წარმოჩენილი ოკუპირებული ტერიოტორიების კულტურული მრავალფეროვნება და ტრადიციები. შესაძლებლობის შემთხვევაში ეთერი დაეთმოს ოკუპირებული ტერიოტორიების ფოლკლორული, ლიტერატურული, სახელოვნებო და სხვა ნიმუშების წარმოჩენას.

მრჩეველთა საბჭოს წევრის თამილა დოლიძის მოსაზრება:

- პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისას და ბიუჯეტის დაგეგმვისას, მრჩეველთა საბჭომ წინა სეზონის მიღწევები და ხარვეზები უნდა გაითვალისწინოს. რეიტინგის მიხედვით, ბოლო ადგილებზე მდგომი გადაცემები ან უნდა გადახალისდეს, ან დაიხუროს. ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყებამდე გამოცხადდეს კონკურსები ახალ გადაცემებზე, პრიორიტეტების გათვალისწინებით.

დამატებითი შემოსავალი უნდა მოხმარდეს:

* ტელევიზიისა და რადიოს ტექნიკურ გადაიარაღებას, რადგან თვალშისაცემია ის ტექნიკური ხარვეზები, რაც ეთერში ჩანს ან ისმის;
* თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას; წახალისებას;
* ეთერში მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებული, ხარისხიანი პროდუქციის გასვლას;
* ვებგვერდის მართვას;
* ბრენდირებას;
* ტელევიზიისა და რადიოს გადაცემების შეფუთვას;
* მარკეტინგულ და სოციალურ აქტივობებს;
* კვლევას, მათ შორის, მრჩეველთა საბჭოს მიერ წარმოებულს.

დღეს აჭარის ტელევიზიაში გადაცემათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია, - **12 საავტორო გადაცემაა (იყო 19), 10 პირდაპირი თოქ-შოუ (იყო 11), მათ შორის 2 გადაცემა „რადიოვიზია“ და „თვითმმართველობის მიმართულებით, ორ პლატფორმაზე გადის.** ანალოგიური მდგომარეობაა რადიოში, სადაც გადაცემაზე ტენდერის გამოცხადებისას იმდენად დაბალი ფასი ცხადდება, რომ ტენდერი ხშირად ვარდება. დღეს რადიოში 8 გადაცემაა+ახალი ამბების 13 გამოშვება, მათ შორის, 1 „რადიოვიზიის“ ფორმატში.(პანდემიის დროს ბადე შეიცვალა და მხოლოდ ახალი ამბები და ანალიტიკური გადაცემები გადიოდა ეთერში

საზოგადოებრივი მაუწყებელში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა სეგმენტის, ასაკობრივი და პროფესიული ჯგუფის, რეგიონების (და არა მხოლოდ თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების) მოსახლეობის, ეროვნული, რელიგიური თუ სხვა უმცირესობების სოციალური, კულტურული ინტერესები და მოთხოვნები. მაუწყებელში, ასევე, უნდა მზადდებოდეს გადაცემათა ციკლი ქვეყნის ისტორიულ წარსულსა და კულტურაზე, იმ ღირებულებებზე, რამაც დაუმკვიდრა ადგილი ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს წარმატებული და დიდი ქვეყნების გვერდით.

მაუწყებელში არსებული მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა: სატელევიზიო რეიტინგებში საზოგადოებრივი მაუწყებლის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა არხების მაჩვენებლებს,. არამგომგებიანობის გამო, საზოგადოებრივი მაუწყებელი არ უნდა უვლიდეს გვერდს ისეთ თემებს, რომლებსაც კომერციული არხები არ აქცევენ ყურადღებას, თუმცა, ყველა თემას უნდა მოეძებნოს გაშუქების ფორმა.

მაუწყებლის ტექნიკური აღჭურვილობა, გატარებული რეფორმების მიუხედავად, არ არის სახარბიელო. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს პირდაპირი ეთერის ან ფეისბუკ-ლაივის დროს. მაუწყებლის ტექნიკური გადაიარაღება პირველი რიგის ამოცანაა და ამ მიმართულებით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი უნდა გაიზარდოს.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სწორად განვითარდეს?

- სტრატეგიული გეგმისა და მარკეტინგული სტრატეგიის შექმნა(განახლება);
- კვლევის ჩატარების აუცილებლობა და საზოგადოების მოლოდინებისა და მოთხოვნების განსაზღვრა;
- მარკეტინგის ძლიერი განყოფილების ჩამოყალიბება; საეტერო ბადე მარკეტინგული სტრატეგიის შესაბამისად უნდა შედგეს, სატელევიზიო სტუდიებთან ურთიერთობა და გარეწარმოება, მარკეტინგის სამსახური უნდა გახდეს მხარდამჭერი სხვადასხვა სოც. აქტივობის

- HR სამსახურის გაძლიერება;
- ადამიანური რესურსის სწორი მართვა;
- ბიუჯეტის სწორად მართვა და სახელფასო პოლიტიკის შეცვლა(გაუმჯობესება).

რა მიმართულებით უნდა განვითარდეს საზოგადოებრივი მაუწყებელი:

- რეორგანიზაცია; (ტვ, რადიო, ტექნიკური სამსახური)
- საინფორმაციო სამსახურის გაძლიერება, მოდერნიზება, საგამოძიებო ჟურნალისტიკის ამოქმედება; (მენეჯმენტის გავლენისგან თავისუფალი საინფორმაციო სამსახური);

- რადიოს რებრენდინგი;
- ძლიერი საინფორმაციო ინტერნეტ-რესურსის შექმნა და განვითარება;
- თემატიკის მიხედვით გადაცემების დამატება; (საბავშვო, განდერული თანასწორობა, რელიგიური უმცირესობები, დიასპორები, ტურიზმი, ურბანული განვითარება, საზღვაო თემატიკა, ისტორიული წარსული, კულტურული მემკვიდრეობა და ა.შ)
- გარეპროდუქტის შემოდინება;
- პოტენციურ დონორებთან ურთიერთობა;
- დარგობრივი გადაცემები;
- ქართული ეროვნული კინო-დოკუმენტალისტიკისა და, ზოგადად, სატელევიზიო კინოს განვითარება;
- რადიოთეატრი; ტელესპეკტაკლები;
- გახმოვანების სტუდია;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა (პავილიონები, სტუდიები).

სტრატეგიული გეგმა უნდა შემუშავდეს მოკლე და გრძელვადიანი (არ მახსენდება, ასეთი შექმნილი ქონდეს მრჩ. საბჭოს, თუმცა საზმაუს 2018-21 წლების გეგმა აქვს შემუსავებული), სატელევიზიო და რადიო სეზონის წინ მაუწყებელმა ბიუჯეტში საზოგადოებრივი აზრის კვლევისთვის თანხა უნდა განსაზღვროს, რაც შემდეგ მენეჯმენტმა სწორად უნდა გადაანაწილოს.

საინფორმაციო სამსახური და ანალიტიკა

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბადეში ყველაზე დიდ დროს იკავებს საინფორმაციო სამსახურის მიერ შექმნილი პროდუქცია (ახალი ამბები, ანალიტიკური გადაცემები, ტოკ-შოუები-30%); მათ ნათლად უნდა ასახონ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, გამოშვებები უნდა იყოს ოპერატიული, ობიექტური და მიუკერძოებელი. არხის საინფორმაციო სამსახური (ტვ და რადიო სეგმენტში) უნდა გაძლიერდეს პროფესიონალი კადრებით, რომლებიც კარგად წერენ, აანალიზებენ დაწერილს, კარგად მეტყველებენ, შეუძლიათ ფაქტზე სწრაფად და ადეკვატურად რეაგირება, ფლობენ გუნდური მუშაობის პრინციპს და არ არიან მიკერძოებულები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. სხვა თემების გაშუქებისას ყურადღება, ძირითადად, იმ საკითხებზე უნდა გამახვილდეს, რომელთაც, შესაძლებელია, გავლენა იქონიონ რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ეთერი უნდა დაეთმოს მსოფლიოში მიმდინარე იმ

მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვთ საქართველოსთან. განსაკუთრებით აჭარასთან.

საგანგებო სიტუაციების დროს მაუწყებელმა ოპერატიულად უნდა მიაწოდოს საზოგადოებას მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში კი, უზრუნველყოს საგანგებო და სპეციალური საინფორმაციო გამოშვებების ორგანიზება, დროისა და რეგლამენტის შეუზღუდავად.

რეგიონის სიახლეები არხის მთავარი ხაზი უნდა გახდეს. ამისთვის, სავალდებულოა, გაძლიერდეს ბიუროების მუშაობაც. კარგი იქნება, თუ მაღალმთიანეთის ერთერთ მუნიციპალიტეტში, მაგ. შუახევში, გაკეთდება სტუდია.

საპარლამენტო, აჭარის უმაღლესი საბჭოს და თვითმმართველობების არჩევნების დროს ეთერში უნდა იყოს დაცული ბალანსი, ეს უნდა აისახებოდეს პარტიების რეკლამების გადანაწილებაზეც.

საგანგებო სიტუაციების დროს და არჩევნების მიმდინარეობისას რეპორტიორები, წამყვანები, რედაქტორები, პროდიუსერები, ოპერატორები, მემონტაჟეები, მძღოლები საქართველოს კანონმდებლობით გაწერილ დროზე მეტს მუშაობენ, ამიტომ, მათ წასახალისებლად, ჰონორარის ან საპრემიო ფონდი უნდა მოქმედებდეს.

დისკუსიაში/დებატებში უნდა მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები, მოქალაქეები, ა/ო წარმომადგენლები, მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობითა და რეგიონული პრინციპების დაცვით. გადაცემათა თემების შერჩევისას, საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს პროგრამული პრიორიტეტები გათვალისწინებული უნდა იყოს. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თვითმმართველობებს.

საგამოძიებო ჟურნალისტიკა; - თავად მაუწყებელში უნდა იყოს ამ მიმართულებით მომუშავე ჯგუფი, თუმცა, შესაძლებელია გადაცემის ან რეპორტაჟის გარეწარმოებაზე გატანა. არხის პრიორიტეტებში გაწერიალია საგამოძიებო ჟურნალისტიკის 12 გადაცემა 1 წლის განმავლობაში.

არხს უნდა გააჩნდეს **ანალიტიკური პროექტები,** რომლებიც რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, ასევე, ეკოლოგიურ საფრთხეებზე უამბობს მაყურებელსა და მსმენელს.

ცალკე გადაცემების მომზადება ტურისტული და საზღვაოსნო მიმართულებებით არხის ერთერთი მთავარი ნიშა უნდა გახდეს.

კარგი იქნება დარგობრივი მიმართულებებით გადაცემების დაგეგმვა, რომლებსაც დარგის ექსპერტები გაუძღვებიან, ან ისინი კონსულტანტებად იქნებიან მოწვეულნი.

რადიო

რადიო საზოგადოებრივი მაუწყებლის ორგანული ნაწილია. პირველ რიგში, უნდა გაძლიერდეს და ცალკე რგოლად ჩამოყალიბდეს რადიოს საინფორმაციო სამსახური, ან, ერთიანი ნიუსრუმის ფარგლებში, ადამიანური რესურსი გაიზარდოს. მაგ: რადიოს საინფ. სამსახურის რედაქტორი გაერთიანებული ნიუსრუმის წევრია, წამყვან-რეპორტიორი კი რადიოს საშტატო გამრიგში შედის. ერთ რგოლს სხვადასხვა მიმართულებით ჰყავს უფროსი.

უნდა შეიქმნას საზოგადოებისთვის საინტერესო სამაუწყებლო ბადე, გადაცემები უნდა მომზადდეს ადამიანის უფლებების დაცვაზე, შემეცნებითობასა და განათლებაზე. ეთერში დოზირებულად უნდა გადიოდეს „ოქროს ფონდში“ დაცული მასალა.

სასურველია, რადიოს ცალკე დაფინასება ჰქონდეს.

და, რაც შეეხება მუსიკას, რომელიც რადიოს ეთერში დროის 40 % უნდა იკავებდეს. მაუწყებელს მუსიკალური არქივის განახლების საშუალება უნდა ქონდეს. (2018 წელს, მაუწყებელმა საქართველოს საავტორო უფლებებათა ასოციაციას დაახლოებით 35 ათასი ლარი გადაუხადა).

დღეს რადიოს პრიორიტეტებში გაწერილია, რომ ინფორმაცია (ახალი ამბები, ტოკ-შოუ, ანალიტიკა) -30%-ს უნდა ფარავდეს, შემეცნება-(თემატური გადაცემები, ტოკ-შოუ) -30%-ს და გართობა (მუსიკა) - 40%-ს, თუმცა, მუსიკა დღეს უფრო მეტია რადიოს ეთერში. (რადიოში დღეს 8 გადაცემა გადის (საავტორო, შემეცნებითი, ტოკ -შოუ) + საინფორმაციო გამოშვებები).

ფონდი:

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს უნიკალური ფონდი აქვს, რომელიც თითქმის გაციფრულებულია (რადიოში მთლიანად, ტვ-ში

ნაწილობრივ). საინტერესო მასალის გასავრცელებლად, მათ შორის საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის, ფონდი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

რადიოში უნდა დაინერგოს საძიებო სისტემა (რაც ამოქმედებულია ტვ-ში) და შეიქმნას კატალოგი.

ასევე, უნდა შეიქმნას საუწყებო არქივი.

ძლიერი საინფორმაციო ინტერნეტ-რესურსის შექმნა

21-ე საუკუნეში ადამიანები ინფორმაციის მიღების ალტერნატიულ საშუალებებს უფრო ანიჭებენ უპირატესობას და, უმეტეს შემთხვევაში, ელექტრონული მედიის მომხმარებლები ხდებიან. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა შეძლოს ასეთი ადამიანების ყურადღების მიპყრობა და მათი მომხმარებლად ქცევა. ამისთვის, უნდა შეიქმნას ისეთი საინფორმაციო ინტერნეტ-რესურსი, სადაც, ახალ ამბებთან ერთად, ყველა სახის სატელევიზიო, რადიო თუ ბეჭდვითი ინფორმაცია განთავსდება. საზოგადოებრივ მაუწყებელში ამოქმედებულია ვებგვერდი, თუმცა, ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს.

არხმა უნდა გააქტიუროს აპლიკაციები, გვერდზე უნდა განთავსდეს სატელევიზიო და რადიოსიხშირეების გავრცელების არეალი (რუკა), „მოქალაქე რეპორტიორი“ უნდა გააქტიურდეს და ბიუჯეტში ამ მიმართულებით ცვლილება უნდა შევიდეს. (საუკეთესო მასალის მიმწოდებელი მოქალაქეების წახალისების მიზნით). ვებგვერდზე, ასევე, კარგი იქნება ელექტროჟურნალების განთავსება და ბლოგინგის სისტემის გააქტიურება. ბლოგინგის სისტემა საშუალებას მისცემს დამწყებ თუ პროფესიონალ ექსპერტებს, რომლებიც არხზე არ მუშაობენ, თავიანთი ნააზრევი მიაწოდონ საზოგადოებას.

რადიოს მიმართულებით ვებგვერდის მუშაობა დასახვეწია, რადგან ტვ და რადიო პლატფორმებზე ანალოგიური ინფორმაციები თავსდება. კარგი იქნება პოდკასტების გააქტიურება.

შემოქმედება

ძლიერი საინფორმაციო სამსახურის პარალელურად, საზოგადოებრივმა არხმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს შემეცნებით-გასართობ პროექტებს. მუდმივად უნდა იქმნებოდეს სატელევიზიო, რადიო და ვებპროდუქციის ახალი ჟანრები.

გადაცემების მთავარი მოქმედი პირი უნდა იყოს ადამიანი, მოქალაქე, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტს. უნდა ჩანდეს, ისმოდეს და იკითხებოდეს, ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოქალაქეების მოსაზრებები, რჩევები, რეკომენდაციები. ისინი საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი აქტორები უნდა გახდნენ.

დღეს არხის პროგრამული კონტენტი 500 ათასი ლარით ფინანსდება, რაც საკმარისი არ არის. მექანიკური პროდუქციის ეთერში მრავალჯერადად, განმეორებით გასვლის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა დაფინანსების გაზრდა.

კინო-დოკუმენტალისტიკა

ადგილობრივი წარმოების დოკუმენტური, სატელევიზიო თუ მხატვრული ფილმები ნაკლებად არის წარმოდგენილი. უპრიანი იქნება, თუ საზოგადოებრივ მაუწყებელში შეიქმნება კინოს განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება პროფესიონალი კადრებით, მთლიანად იქნება აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით და შექმნის ახალ პროდუქციას. 18-საათიან სატელევიზიო ბადეში დღეს 50%-ს მექანიკური პროდუქცია იკავებს.(პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო მეტს). უპრიაანი იქნება, თუ რამდენიმე პროცენტს ადგილობრივი წარმოების პროდუქცია ჩაანაცვლებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა

იმისთვის, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეძლოს გამართულად ფუნქციონირება, სასურველია აიგოს ახალი შენობა ან არსებული შენობის მოდერნიზაცია მოხერხდეს იმგვარად, რომ მასში განთავსდეს პავილიონები, სტუდიები და ადმინისტრაციაც.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შენობები სხვადასხვა მისამართზე არიან განთავსებულნი. ტელევიზია მდებარეობს მემედ აბაშიძის გამზ.41-ში, შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. შენობა გარემონტდა, თუმცა გამოუსადეგარია არხის მუშაობისთვის: შეზღუდულია ფართი, მცირეა სტუდიების რაოდენობა, სამონტაჟოები. რამდენიმე სატელევიზიო პროექტი ერთი სტუდიიდან გადის ეთერში. სტრატეგიული გეგმის განსაზღვრისთვის კი აუცილებელია აჭარის ტელევიზიისა და რადიოსათვის შენობის გამოყოფის ან აშენების საკითხი დადგეს დღის წესრიგში.

რადიო მდებარეობს მ.აბაშიძის გამზ. 57-ში, რომელიც ადაპტირებულია. სხვადასხვა შენობაში მუშაობა თანამშრომლებს გარკვეულ პრობლემებს უქმნის.

ასევე, პრობლემურია ის ფაქტი, როცა პროდუქტის შემქმნელს (ჟურნალისტს, რეჟისორს, პროდიუსერს) არა აქვთ სამუშაო ადგილები იმ ფონზე,როცა გარემონტებული მესამე სართული თავისუფალია.

ბრენდის განვითარება

სამსახურმა კონცეფციის პრეზენტაცია 5 წლის წინ გამართა. ძირითადი სამუშაოები (ლოგოტიპი, ფერი, შრიფტი და ა.შ) იმთავითვე განისაზღვრა. კარგი იქნება, მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც ტელევიზიის, ისე რადიოს ბანერების განთავსება, რადგან ტელევიზია უკვე ფარავს, რადიო კი საქართველოს მთელ ტერიტორიას მალე სრულად დაფარავს. ჩვენი არხის ცნობადობის მიზნით, კარგი იქნება აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში არსებული რადიოს სიხშირის მითითებაც. უმჯობესი იქნება, რადიო ყველგან ერთ სიხშირეზე ისმინებოდეს.

მედია-სკოლა

არხი სულ უნდა იყოს ახალი კადრების ძიების პროცესში, რისთვისაც საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტებთან მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა. თუმცა, იმ ფონზე, როდესაც მაუწყებელში ბევრი პროფესიონალი მუშაობს, საუკეთესო გამოსავალია მედიასკოლის შექმნა. დაინტერესებულ მოქალაქეებს შეეძლებათ დაეუფლონ მემონტაჟისა და ოპერატორის პროფესიებს, მეტყველების ხელოვნებას, ისწავლონ რეპორტაჟის კეთება და ა.შ. მედიასკოლის მსმენელებმა უნდა შეიძინონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ, დასაქმების შემთხვევაში, მუშაობაში დაეხმარება.

სახელფასო პოლიტიკა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში უთანასწორო სახელფასო პოლიტიკა მოქმედებს. არ არის გათვალისწინებული ძალიან ბევრი თანამშრომლის შრომითი გამოცდილება, პროფესიონალიზმი, განათლებისა და განვითარების დონე. ამიტომ, პირველი რიგის ამოცანაა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა, მცირე დროში დაარეგულიროს არსებული ხარვეზი. თანამშრომლებს უთანასწორობის განცდა არ უნდა ჰქონდეთ.

და, ბოლოს

მრჩეველთა საბჭომ აუცილებლად უნდა აწარმოოს კვლევა, თუ რამდენად ყურებადია ტელევიზია, სმენადია რადიო და კითხვადია ვები. ვფიქრობ, ეს საბჭოს მუშაობის მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს. საბჭოს წევრები რეგულარულად უნდა შეხვდნენ რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს, ძირითადი აქცენტი კი მაღალმთიან სოფლებზე უნდა გაკეთდეს. მრჩეველებს სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ადამიანების აზრი უნდა აინტერესებდეთ. კარგი იქნება, მაუწყებელში თუ ამოქმედდება მოქალაქეთა საბჭო (პირობითი სახელი) და მასში საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენელი კონკურსის წესით შეირჩევა.

მრჩეველთა საბჭოს წევრის გია ქარცივაძის მოსაზრება:

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2020-2021 წლის პროგრამული პრიორიტეტები (მისი დამტკიცების დოკუმენტი) უნდა ითვალისწინებდეს:

1. კონკრეტულ მექანიზმს რომლის მეშვეობითაც პერიოდულად (კვარტალში ერთხელ მაინც) იქნება შესაძლებელი პრიორიტეტების შესრულების მონიტორინგი, დამოუკიდებელი სუბიექტის მიერ;

2. პრიორიტეტი (მისი ნაწილი) რომელიც შეფასების გარეშეც დადასტურებულია, რომ არ სრულდება - მასზე ეფექტური რეაგირების მექანიზმი;
3. მაუწყებელმა პროდუქციის 25% ზე მეტი უნდა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, საიდანაც ნახევარზე ნაკლები შეიძლება იყოს უცხოეთში მომზადებული (და საქართველოში გახმოვანებული) მექანიკური პროდუქცია - სატელევიზიო ეთერისათვის, ხოლო 2/3 ნაკლები რადიოს ეთერისათვის;

პროგრამული პრიორიტეტები უნდა აკმაყოფილებდეს კანონის (მაუწყებლობის შესახებ მუხლი 16) მოთხოვნებს და მისი თოთოეული ნაწილი მიმართული უნდა იყოს კანონით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულების შესრულებისკენ.

კონკრეტული მიმართულებები:

- ✓ მაუწყებელმა კონკრეტული პირდაპირი ეთერის სატელევიზიო და რადიო გადაცემებით, უნდა უზრუნველყოს გახდეს მთავარი სადისკუსიო სივრცე, ქვეყანაში, მსოფლიოში და უპირატესად აჭარის რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე.
  აღნიშნული ნაწილის შესრულება უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, საუკეთესო დროს;
- ✓ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ეროვნული და რელიგიური უმცირესობების, ასევე ქალთა და ლგბტ თემის წარმომადგენელთა თავისუფლებასა და თანასწორობასთან დაკავშირებული კონკრეტული გადაცემების პერიოდული მომზადება და ეთერში განთავსება;
- ✓ მაუწყებელემა ყოველდღიურ რეჟიმში სხვადასხვა პროგრამებით უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დეოკუპაციასთან და დასავლური კურსის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული პროდუქტის ეთერში განთავსება;
- ✓ მაუწყებელემა პერიოდულად (მაგრამ არა ნაკლებ თვეში ერთხელ) უნდა უზრუნველყოს ჟურნალისტური გამოძიების პროდუქტის (საგამოძიებო გადაცემების) განთავსება სხვადასხვა პლატფორმაზე.
  საგამოძიებო პროდუქტის შექმნა/მომზადება უნდა ხორციელდებოდეს მაუწყებელისგან დამოუკიდებელი სუბიექტის მიერ;
- ✓ მაუწყებელემა უნდა უზრუნველყოს არსებული ანალიტიკური მიმართულებ(ებ)ისა ადამიანური რესურსით გაძლიერება;
- ✓ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ტრადიციული დილის დადაცემ(ებ)ისა მხარდაჭერა/გაძლიერება;
- ✓ საარჩევნო პერიოდში მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს სპეციალური ფორმატის ახალი გადაცემ(ებ)ის და პირდაპირი ეთერის ტოკ-შოუს მომზადება/განთავსება;
- ✓ მაუწყებელმა სისტემატიურად უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური მიმართულების სპეციალური პროდუქტის მომზადება;

- ✓ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს არსებული სამედიცინო მიმართულების გადაცემის მხარდაჭერა/გაძლერება;
- ✓ მაუწყებელემა უნდა უზრუნველყოს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის მიმართულების არსებითი გაძლერება;
- ✓ მაუწყებელი პოპულარიზაციას უნდა უკეთებდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს, არამარტო ცალკეულ გადაცემებში, არამედ სპეციალური რუბრიკების, ჭრებისა თუ არტების დამზადებით;

მრჩეველთა საბჭოს წევრის სოსო სტურუას მოსაზრება:

1. პროგრამული პრიორიტეტების სამართლებრივი სტატუსი

1.1 მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის (მუხლი 15) თანახმად საზოგადოებრივ მაუწყებელი არის ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის უირიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას და მისი მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისთვის მიწოდება;

1.2 საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო (შემდგომში მაუწყებელი) ხელმძღვანელობს პროგრამული პრიორიტეტებით, რომელსაც განსაზღვრავს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით (საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. მუხლი 35^{9}.1.ა);

1.3 პროგრამული პრიორიტეტები, რომელიც მრჩეველთა საბჭომ 2018 წელს შეიმუშავა (გადაწყვეტილება N01-01/17 02.07.18), არეგულირებდა მაუწყებლის საქმიანიობას 2018-2019 წლების სამაუწყებლო სეზონისთვის. შემდგომში მისი მოქმედების ვადა

გაგრძელდა 2020 წლის 1 ივლისამდე (გადაწყვეტილება N01-01/017 17.06.19). წინამდებარე პროგრამული პრიორიტეტები განკუთვნილია სამი სამაუწყებლო სეზონისთვის და მოიცავს 2020-2023 წლებს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მოსალოდნელია დოკუმენტში ცვლილებების შეტანა ყოველი სამაუწყებლო სეზონისთვის;

1.4 პროგრამული პრიორიტეტები მიღებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

2. მაუწყებლის ზოგადი ორიენტირები და მართვის ამოცანები

2.1 მაუწყებლის ძირითადი მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს ის მედიამომსახურება, რაც საზოგადოებას სჭირდება და ვერ ღებულობს, ან სრულფასოვნად ვერ ღებულობს სხვა მედია საშუალებებით;

2.2 მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, გახდეს მთავარი სადისკუსიო სივრცე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისთვის, სადაც შესაძლებელი იქნება დისკუსია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით;

2.3 მაუწყებელმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღოს ყალბი ინფორმაციის თავიდან ასაცილებლად, ხოლო ჰიბრიდული ომის ვითარებაში უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ;

2.4 მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, გახდეს გამორჩეული მედიასაშუალება, რომელიც ამკვიდრებს მაღალ სტანდარტებს, წარმოებული თუ შესყიდული ნებისმიერი პროდუქტი საუკეთესო უნდა იყოს შესაბამის ჟანრში;

2.5 ახალი ამბებით საზოგადოების ინფორმირებისა და სხვადასხვა ჟანრის პროდუქციის მიწოდების გარდა მაუწყებელმა უნდა აწარმოოს/შეიძინოს ისეთი პროდუქცია, რომელიც საზოგადოებისთვის სასარგებლო და ფასეული რჩება ხანგრძლივი დროის განმავლობაში;

2.6 მაუწყებელმა უნდა იზრუნოს ტელევიზიისა და რადიოს შენობის პრობლემატური საკითხის გადაჭრისათვის, ყურადღება უნდა გაამახვილოს ტექნიკური გადაიარაღების აუცილებლობაზე, სტრუქტურის სრულყოფაზე, ორგანიზაციის

სწორმა მართვამ შედეგად უნდა მოიტანოს კორპორატიული კლიმატის გაუმჯობესება, შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერება, დასაქმებულთა პროფესიონალიზმის და კმაყოფილების ზრდა;

2.7 მრჩეველთა საბჭო შინაარსობრივ პარამეტრებთან ერთად პერიოდულად შეაფასებს მენეჯმენტის საქმიანობას მაუწყებლის ორგანიზაციული სრულყოფის, საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის და სხვა ამოცანების მიღწევის თვალსაზრისით, რისთვისაც გამოიყენებს შეფასების სხვადასხვა საშუალებას.

3. მაუწყებლის ძირითადი სამოქმედო პრიორიტეტები

3.1 აჭარის ტელევიზია და რადიო მაუწყებლობს ერთ სატელევიზიო არხზე, ერთ რადიო არხზე და ინტერნეტ პლატფორმით;

3.2 მაუწყებელმა ყოველწლიურად უნდა დაადგინოს სამაუწყებლო სეზონის დაწყებისა და დასრულების ვადები, ასევე სამაუწყებლო სეზონის მოსამზადებელი ეტაპის დაწყებისა და დასრულების ვადები;

3.3 მაუწყებელმა აუდიტორიის მოთხოვნების შესაბამისად და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ყოველი სამაუწყებლო სეზონისთვის უნდა შეადგინოს ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო ბადე, ასევე ინტერნეტმაუწყებლობის სამომხმარებლო ინტერფეისი. ამასთან უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ სამაუწყებლო ბადე წარმოადგენს (საქ. კანონი მაუწყებლობის შესახებ. მუხლი 2 ჰ[3]) მაუწყებლის მიერ შედგენილ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს პროგრამების დასახელებას, მოკლე ანოტაციასა და მაუწყებლობის დროს;

3.4 მაუწყებელმა ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო ბადეში და ინტერნეტმაუწყებლობის სამომხმარებლო ინტერფეისში უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის.

3.5 მაუწყებელმა საუკეთესო დროს უნდა გადასცეს ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის

მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები. საჭიროების შემთხვევაში მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საგანგებო და სპეციალური საინფორმაციო გამოშვებების ორგანიზება;

3.6 მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს პროგრამების რედაქციული დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოვებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისგან თავისუფლება. პროგრამებში არ უნდა გამოხატოს თავისი აზრი;

3.7 მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს შშმ პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში სატელევიზიო ეთერში გაშვებულ წინასაარცევნო გადაცემებში უნდა უზრუნველყოს სურდოთარგმანი;

3.8 მაუწყებელმა საკუთარი ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით ოპტიმალურად უნდა შეძლოს სტუდიების მოწყობა პროგრამების წარმოების მიზნით;

3.9 დაავადებათა აფეთქებისა და მისი სწრაფად გავრცელების შემთხვევაში მაუწყებელმა ოპერატიულად უნდა მიიღოს საგანგებო ზომები და შექმნას თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელი პირობები, რათა უწყვეტ რეჟიმში შეძლოს საჭირო ინფორმაციის გავრცელება;

3.10 მაუწყებელმა უნდა იზრუნოს წარმოებული პროდუქციის ხარისხის ზრდაზე, ასევე ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან მაღალი ხარისხის პროდუქციის შეძენაზე;

3.11 სამაუწყებლო ბადის მექანიკურად შევსების მიზნით მაუწყებელმა უნდა შეიძინოს პროდუქცია ასაკობრივი მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

3.12 მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს აჭარის მასშტაბით გამართული მნიშვნელოვანი მასობრივი ღონისძიებების გადაღება;

3.13 მაუწყებელმა უნდა აწარმოოს არქივი და შეინახოს ისტორიული ღირებულების მქონე თავის პროგრამები.

4. მაუწყებლის შინაარსობრივი პრიორიტეტები

4.1 მაუწყებლემა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ყველა ნაწილის ინტერესების დაცვა, უნდა წარმოაჩინოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მრავალფეროვნება, პოლიტიკური მიმართულებების, შეხედულებების, მოსაზრებების სიმრავლე, საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ღირებულებები, ინტერესები და პრობლემები მათი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით;

4.2 მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს მრავალი პოზიციის თანაარსებობას, პოლიტიკური განმჭვირვალობას, მოქალაქეთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას, სოცილაური ტრადიციების პატივისცემას, ინდივიდუალური უფლებების დაცვას, საზოგადოებრივი თანხმობის გზების ძიებას, ინოვაციებისა და საზოგადოების ღიაობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის ზრდას;

4.3 მაუწყებელმა საკუთარ პროგრამებში უნდა წარმოაჩინოს განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, კულტურული ჯგუფები, უნდა ასახოს ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება. ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები.

4.4 მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე მთლიანად საქართველოსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ. მიუკერძოვებელი და ზუსტი ინფორმაციით საზოგადოების დროული უზრუნველყოფა მაუწყებლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

4.5 საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად მაუწყებელმა მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცეს, გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შეიქმნან ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისთვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებსა და გამოწვევებზე. უნდა ასახოს სოციალური პრობლემები,

განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებსა და საჭიროებებზე, რიგითი მოქალაქის პრობლემები, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება. უნდა აწარმოოს ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გახმაურებული ამბებით/შემთხვევებით, არამედ უნდა იკვლევდეს ისეთ თემებს, რომლებიც კანონის უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევებს, ან სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად აქტუალურ სხვა საკითხებს ეხება. საგანგებო სიტუაციის დროს უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისთვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისთვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა. გონივრული პროპორციით უნდა დაუთმოს დრო უცხოეთის სიახლეებს;

4.5 საქართველო, სხვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოების მსგავსად, ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებას. მაუწყებლის მიზანია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ თანამედროვე გამოწვევებისა და ამოცანების შესახებ საზოგადოების ყოველმხრივი ინფორმირება. ხელისუფლების დანაწილებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე უამრავი საჭირბოროტო, აქტუალური და გადასაჭრელი საკითხი დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე. მაუწყებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამ მიმართულებით;

4.6 მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გაშუქება, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია, გააშუქოს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები და სხვა.

4.7 მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ევროინტეგრაციის არსის თემატური გაშლა და მიტანა ფართო საზოგადოებამდე. მაუწყებლის პროგრამებში უნდა ჩანდეს, რომ ევროიტეგრაცია ეს არ არის მხოლოდ კანონების მიღება, არამედ ესაა განვითარების პროცესი, ხოლო ამ პროცესის წარმატებით წარმართვა წარმოადგენს თვითონ შედეგს.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას, რომ ევროინტეგრაცია ეს ნიშნავს გახდე ევროპული ოჯახის წევრი და არ დაკარგო საკუთარი სამშობლო. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, როცა ამ აზრის მოწინააღმდეგენი ევროპას წარმოაჩენენ მიუღებელი სახით, ქმნიან არასწორ წარმოდგენებს დასავლური ღირებულებების შესახებ, მოქალაქეებს თავს ახვევენ ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელ საკითხებს, როგორც ევროინტეგრაციისთვის თითქოსდა აუცილებელ პირობას, ხოლო ზოგნი მზად არიან დააკნინონ ჩვენი ქვეყნის იმიჯი, დამახინჯებულად წარმოაჩინონ ჩვენი ტრადიციული მსოფლმხედველობა და მენტალიტეტი. ევროინტეგრაციის რეალური მიზნის, მისგან გამოწვეული სიკეთეების წარმოჩენა მაუწყებლის მოვალეობაა;

4.8 მაუწყებელის პროგრამებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროინტეგრაციის ეკონომიკურ მდგენელზეც. მაუწყებელმა უნდა განახორციელოს ეკონომიკის დასავლური მოდელის პოპულარიზაცია, რაც უმთავრესად ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, სტარტაპების მსხვილმასშტაბიან ინვესტირებას, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტურ წარმართვას, საბანკო სისტემის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობას და სხვა ასპექტებს. დასავლური ეკონომიკური მოწყობის ამ და სხვა მთავარი პრინციპების უბრალო ენით, საზოგადოების ფართო ფენებისთვის გასაგებად განმარტება უნდა იყოს მაუწყებლის ამოცანა;

4.8 ეკონომიკის მიმართულებით, გარდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა მაუწყებელმა გვერდი არ უნდა აუაროს ქვეყნის წინაშე მდგარ გლობალურ გამოწვევებს, უნდა გააშუქოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტები, მიზნები და მიმდინარე მდგომარეობა, მისგან გამოწვეული დადებითი და უარყოფითი შედეგები;

4,9 ტურიზმი ჩვენი ქვეყნის და განსაკუთრებით ჩვენი კუთხის ერთ-ერთი მთავარი დარგია. მაუწყებელმა უნდა იზრუნოს ტურისტულ სფეროში არსებული პრობლემების გაშუქებაზე, ასახოს ტურისტული ინფრასტუქტურის, დასვენებისა და გართობის სფეროში, ზღვისა და მთის კურორტებში არსებული მდგომარეობა, პერსპექტივები, ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პროექტები;

4.10 ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის საკმაო ნაწილი სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული. სასოფლო სამეურნეო მიმართულებით არსებული მდგომარეობა, ტრადიციული და ახალი დარგები, თანამედროვე მიდგომების დანერგვის პერსპექტივა მაუწყებლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. წარმატებული, სამაგალითო ფერმერული მეურნეობები, სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანები, ინოვაციური მიდგომები პერიოდულად უნდა შუქდებოდეს მაუწყებლის მიერ;

4.11 მაუწყებელმა პერიოდულად უნდა გააშუქოს ქვეყნის განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები და პრობლემები, ხელი უნდა შეუწყოს განათლებისა და წიგნიერების პოპულარიზაციას. გააშუქოს მეცნიერების სფეროში არსებული მდგომარეობა;

4.12 მაუწყებელი სამხედრო-პატრიოტული თვალსაზრისით უნდა უზრუნველყოფდეს ქვეყნის სამხედრო უწყების მიღწევების გაშუქებას, წარმოაჩენდეს წარმატებულ და რიგით სამხედროებს, პატივს მიაგებდეს გმირებს, უახლესი ისტორიის ომების მონაწილეებს, ასევე სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას;

4.13 მაუწყებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების თანამედროვე გამოწვევებზე. ბუნების დაცვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემები და სხვა ეკოლოგიური საკითხები უნდა გაშუქდეს როგორც გლობალური, ასევე საქართველოსა და კერძოდ აჭარის რეგიონის წინაშე მდგარი აქტუალური საკითხების წარმოჩენით. ამასთან ეკოლოგიური პრობლემებით დაზარალებული მოსახლეობის ბედი, სახელმწიფო პოლიტიკა ეკომიგრანტებთან მიმართებაში, ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილების გზები მაუწყებლის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს;

4.14 მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას. უნდა გააშუქოს კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში - ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის, თეატრის, კინოს და სხვა სახელოვნებო დარგებში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, მათი მიღწევები, თანამედროვე და ახლო წარსულში

მოღვაწე ხელოვანები, კულტურისა და ხელოვნების სფეროში არსებული მდგომარეობა, ტრადიციები, სიახლეები;

4.15 მაუწყებელმა უნდა წარმოაჩინოს საქართველოს, მათ შორის განსაკუთრებით აჭარის მხარის უძველესი ჩვეულებები, ფოლკლორი, ყოფაცხოვრების ნიმუშები, დღემდე შემონახული სხვადასხვა მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები, თანამედროვეობის ისეთი ასპექტები, რომელიც დროთა განმავლობაში ისტორიულ ღირებულებას შეიძენს;

4.16 მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს მნიშვნელოვანი სპორტული ამბების გაშუქება, წარმატებული სპორტსმენების წარმოჩენა, საქართველოში და მათ შორის განსაკუთრებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის ამა თუ იმ სახეობის მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები. მაუწყებელმა უნდა იზრუნოს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე;

4.17 დაავადებათა აფეთქებისა და მისი სწრაფად გავრცელების შემთხვევაში მაუწყებელმა ოპერატიულად უნდა მიიღოს საგანგებო ზომები საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების უზრუნველსაყოფად, უნდა გაავრცელოს უახლესი ცნობები ეპიდემიის/პანდემიის და შესაბამისი პრევენციული ზომების შესახებ, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს კვალიფიციური სპეციალისტების რჩევები და რეკომენდაციები.

5. საქმიანობის შეფასება

5.1 მაუწყებლის საქმიანობა ფასდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. შეფასებები შეიძლება კეთდებოდეს აგრეთვე წლის განმავლობაში და გამოიყენებიოდეს რეკომენდაციებისა და მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად. მაუწყებლის საქმიანობის შესაფასებლად გამოყენებული იქნება სხვადასხვა საშუალება;

5.2 ქვემოთ ჩამოთვლილი შეფასების კრიტერიუმები გამოყენებული იქნება თითოეული ჟანრისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით.

შეფასების კრიტერიუმები -

ზეგავლენა

- მაყურებელს/მსმენელს ეხმარება, გაერკვეს ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებსა და საკითხებში;
- მაყურებელს/მსმენელს უქმნის შესაძლებლობას, იფიქროს მოვლენებზე ახალი და განსხვავებული კუთხით;
- მაყურებელს/მსმენელს უქმნის მოტივაციას, ჩაერთოს სხვადასხვა მოვლენებსა და აქტივობებში;
- მაუწყებელი ქმნის ისეთ პროგრამებს, სიუჟეტებს, რომლებზედაც მაყურებელს/მსმენელს შემდგომ ერთმანეთთან საუბარი მოუნდებათ;
- მაუწყებელი ქმნის ისეთ პროგრამებს, სიუჟეტებს, რომლებიც იწვევს გამოხმაურებას, დღის წესრიგის ცვლილებას სამოქალაქო საზოგადოებაში ან პოლიტიკაში;
- მაუწყებელი არ ცდილობს მაყურებლით/მსმენელით ფარულ მანიპულირებას რაიმე სპეციფიკური პოლიტიკური ან კომერციული ინტერესების სასარგებლოდ;
- სტიმულს აძლევს მაყურებელს/მსმენელს, აღიქვას რეალობა ახალი და განსხვავებული კუთხით;
- სტიმულს აძლევს მაყურებელს/მსმენელს, შეცვალოს საკუთარი ცხოვრება უკეთესობისკენ;
- პასუხობს მაყურებელის/მსმენელის ინტერესებს და საჭიროებებს;
- წარმოაჩენს და პოპულარიზაციას უწევს საქართველოს თვითმყოფად კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას;

მრავალფეროვნება

- წარმოაჩენს მრავალფეროვან მსოფლმხედველობებს, პოლიტიკურ თვალთახედვებს და ინტერესებს;
- სათანადო ყურადღებას უთმობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის მნიშვნელოვან თემებს, პრობლემებს, ინტერესებს;

- აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედია გარემოში;
- კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ცრურწმენებს, სტერეოტიპებს;
- წარმოაჩენს მრავალფეროვან კულტურას და თვალთახედვებს, ადგილობრივ და მსოფლიო ტენდენციებს;
- აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას სხვადასხვა გემოვნების მქონე ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედია გარემოში. ასახავს ახალ მიმდინარეობებს;

ხარისხი

- აშუქებს მოვლენებს ოპერატიულად, მიუკერძოებლად და ობიექტურად;
- აშუქებს მოვლენებს დაზუსტებულად, სანდო წყაროზე დაყრდნობით;
- საკითხებს გადმოსცემს გასაგები ენით;
- მოიძიებს და წარმოაჩენს ექსკლუზიურ და აქტუალურ ინფორმაციებს, თემებს;
- წარმოაჩენს მოვლენებს ახლებული და განსხვავებული კუთხით;
- უზრუნველყოფს დისკუსიებისა და დებატების ისეთ ფორმატს, სადაც შესაძლებელია რაციონალური აზრის ჩამოყალიბება;

სიღრმისეულობა

- მაყურებელს/მსმენელს ეხმარება დაინახოს რეალობა, აზრი გამოიტანოს მიმდინარე მოვლენებიდან;
- აჩვენებს მაყურებელს/მსმენელს თუ როგორ აისახება (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა) მოვლენები მასზე;
- აანალიზებს, არის თუ არა (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა) მოვლენები ისეთი, როგორც ჩანს;
- ხსნის, თუ რატომ არის (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა) მოვლენები ისეთი, როგორიც არის;

გამორჩეულობა

- ქმნის მუდმივ ფასეულობებზე ორიენტირებულ პროდუქციას, რომელიც არ არის წარმავალ, ამ წუთიერ რეიტინგზე ორიენტირებული;
- არის ექსპერიმენტების და ინოვაციების ადგილი;
- პროდუქცია არის ჟანრობრივად მრავალფეროვანი;

- იყენებს სხვა არხებისგან განსხვავებულ შემოქმედებით მიდგომას მოვლენების და საკითხების გაშუქების დროს;
- გამოირჩევა მაღალი სარედაქციო სტანდარტით;

5.3 პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შესაფასებლად მრჩეველთა საბჭო გამოიყენებს საექსპერტო კვლევებს, სოციოლოგიურ კვლევებს, დამოუკიდებელი მედია ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ანალიზს და მონიტორინგს, ასევე მაუწყებლის მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის დასკვნებს;

5.4 მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები იქნება საჯარო;